საქართველო

22148-01-2-201805241218

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/22148
24/05/2018

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (Japan International Cooperation Agency - JICA) დავალებით, ნომურას კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში ატარებს კვლევას, რომლის მიზანს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებული საჭიროებების დადგენა წარმოადგენს. ხსენებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით JICA მოახდენს საქართველოში განსახორციელებელი სამომავლო პროექტების შემუშავებას. საქართველოში მიმდინარე კვლევის ჩატარების პროცესში ინსტიტუტი თანამშრომლობს ადგილობრივ კომპანია „Lighthouse Expert Services"-თან. თავად ნომურას წარმომადგენლები საქართველოს ეწვევიან მ.წ. 11-12 ივნისს ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია გამართავს ორმხრივ შეხვედრებს, სადაც შესაბამის უწყებებთან განიხილავს თანამშრომლობის კონკრეტულ შესაძლებლობებს და მიმართულებებს.

გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია და იაპონური მხარის მომართვის შემთხვევაში, ორმხრივ შეხვედრაზე თქვენი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, განიხილოთ კონკრეტული პროექტები, რომელთა განხორციელებაც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ JICA-ს მონაწილეობით.

დანართის სახით გიგზავნით პრეზენტაციას ნომურას კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით, ,
დავით კერესელიძე

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი